

ბ. პიპინაძე



ლოთისის
ქაჩოცოლის
პუცულოთი

«მეცნიერება»
1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აბაღ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА



ბ. კეენაძე

ღითონის ჭურჭლის კატალოგი

(მუზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის
განყოფილების ფონდები)



გამომცემლობა „მცხეთა-მთიანეთი“

თბილისი

1974

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

წინამდებარე კატალოგში შესულია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული და კერძო პირთაგან შეძენილი როგორც ადგილობრივი, ისე ირანული წარმოშობის ლითონის ჭურჭელი. მასალა განხილულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმომავლობის მიხედვით. ლითონის ჭურჭლის უმრავლესობა XVI—XVIII სს. თარიღდება. აღნიშნული ხანის საქართველოში ლითონის ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული და მას გარკვეული ადგილი ეჭირა ქართველი ხალხის ყოფაში.

კატალოგი მიზნად ისახავს მეზეუმში დაცული ფეოდალური ხანის ლითონის ჭურჭლის პეზლიკაციას. იგი დახმარებას გაუწევს არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს, მეზეუმში დაცული ნივთიერი კულტურის ძეგლებით დაინტერესებულ პირთ.

K 298.154
3



შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მეზეუმის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ფონდებში დაცული ლითონის ჭურჭლის კატალოგს. აქ განხილული მასალა უმეტესად შემთხვევითი აღმოჩენების, კერძო პირთაგან შესყიდვის ან შემოწირულობათა სახითაა შემოსული. ამდენად თითოეული ჭურჭელი განიხილება დამოუკიდებლად, ყოველგვარი არქეოლოგიური კომპლექსებისა თუ კოლექციების გარეშე.

ლითონის ჭურჭლის დათარიღება, ან წარმომავლობის დადგენა, გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არ გაგვიჩნია ნივთის თანმხლები დამატარებელი სხვა მასალა ან მის შემოსულობასთან დაკავშირებული ცნობები. შედარებით ადვილად თარიღდება წარწერიანი ჭურჭელი. წარწერა, აგრეთვე, ერთგვარ გეზს იძლევა ჭურჭლის სადაურობის დადგენაშიც.

კატალოგში მასალა დაჯგუფებულია წარმოშობის მიხედვით. გამოყოფილია ჭურჭლის ორი ძირითადი ჯგუფი: 1. ლითონის ქართული და 2. ირანული ჭურჭელი. თითოეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. სათანადო პარალელების მოძებნის, დამუშავების ხერხების და მხატვრული ანალიზის საფუძველზე განხილული ლითონის ჭურჭელი ძირითადად შუაფეოდალური (XI—XIII სს.) და გვიანი (XVI—XVIII სს.) ხანით თარიღდება.

მასალის უმრავლესობას ქართული ჭურჭელი შეადგენს. ჭურჭელი სხვადასხვა დროს, საქართველოს სხვადასხვა რაიონშია მოპოვებული. ფორმისა და დამზადების ტექნიკის მსგავსება, მხატვრული სტილი და უმეტეს მათგანზე მოთავსებული მხედრული წარწერები, საშუალებას იძლევა მასალა ერთ ჯგუფში გაგვიერთიანოთ.



ადრეფეოდალური ხანის ლითონის ჭურჭელი წარმოდგენილია მხოლოდ ნაქალაქარ ურბნისში აღმოჩენილი განძით. რიოდის სხვა მასალა აღნიშნულ ფონდებში ჭერჭერობით არ გავგაჩნია. განძი, რომელიც შედგება ოთხი დიდი ზომის სპილენძის ჭურჭლისაგან, თარიღდება V—VI სს.

შუაფეოდალური ხანით თარიღდება ვანის ქვაბების, ნაქალაქარ დმანისისა და უჯარმის ჭურჭელი. მასალის სიმცირის მიუხედავად, მაინც იქმნება გარკვეული წარმოდგენა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლითონის ჭურჭელზე.

დმანისისა და უჯარმის ჭურჭელი სპილენძისაა, წარმოდგენილი უმეტესად ფრაგმენტების სახით. დამუშავების ტექნიკით ის არ არის გამორჩეული და, როგორც ჩანს, განკუთვნილია უფრო საშუალო და დაბალი ფენის მოსახლეობისათვის.

XI—XII სს. თარიღდება ვერცხლის სამი თასი ვანის ქვაბებიდან. სამივე ჭურჭელი ჩანს ერთი ოსტატის ნახელავია. კანელურებიანი თასების ცენტრში კოპებზე ამოკვეთილი „სოლომონის ბეჭედი“ სამეფო ჭურჭლის კუთვნილებაზე მიგვითითებს. ზემოთ აღნიშნულ სპილენძის ჭურჭლისაგან განსხვავებით, ქართული ოქრომჭედლობის ეს შესანიშნავი ნიმუშები წერილობით წყაროებში მოხსენებული „სამეჯლიშო“, სადღესასწაულო ჭურჭლის არსებობის აშკარა დადასტურებაა.

კატალოგში შედარებით სრულადაა წარმოდგენილი გვიანი შუასაუკუნეების ლითონის ქართული ჭურჭელი. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიული კახეთის ტერიტორიაზეა მოპოვებული. განხილულია ნაქალაქარ გრემის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული სპილენძის ჭურჭელი, სიღნაღის რაიონის სოფ. საქობოსა და ლავოდების რაიონის სოფ. შვიდობიანში სხვადასხვა დროს შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძისა და ვერცხლის ჭურჭლის განძები.

აქვეა საინტერესო მასალა კოჯრიდან, რომელიც ვახტანგ VI სასახლის საჭურჭლესთანაა დაკავშირებული, აგრეთვე ცალკეულ ისტორიულ პირთა გიორგი სააკაძის, მეფე ერეკლეს, თეკლა ბატონიშვილისა და სხვათა კუთვნილი ჭურჭელი, რომელიც XVII—XVIII სს. ქრონოლოგიური ჩარჩოთი იფარგლება.

მასალის განაწილება დროის ასეთ დიდ მონაკვეთზე გვევარაუდებინებდა ჭურჭლის ფორმათა ევოლუციას ან სტილისტური ხასიათის ცვლილებებს. მაგრამ როგორც მასალის შესწავლამ



ცხადპყო, ამ მხრივ გარკვეულ კონსერვატულობასთან გვიქმს საქმე. გვიან საუკუნეებში ხელოსნები ძირითადად იმეორებენ წინა საუკუნეებში შემუშავებულ ფორმებს (თუმცა შეიმჩნევა არაფუნქციონალური ცვლილებანიც), იყენებენ დამუშავების ცნობილ ხერხებს და აგრძელებენ ძველ ტრადიციებს.

შესწავლილი მასალების მიხედვით ლითონის ჭურჭლის ყველაზე გავრცელებული ფორმა თეფში და თასია.

თეფშთა ოთხი ტიპის დადგენა მოხერხდა: 1. დიდი ზომის, გადაშლილი პირით, ბრტყელი ძირით, მრგვალი, შედარებით მაღალი გვერდით და პორიზონტალურად გადაშლილი ფართო ბაკოთი (ტაბ. VII—17, VIII—18). 2. პირშეკრული, ვერტიკალური სწორი გვერდით და ბრტყელი ძირით (ტაბ. XII—25). 3. პირგადაშლილი, ოდნავ დაქანებული ფართო ბაკოთი, დაბალი გვერდით და ბრტყელი ძირით (ტაბ. XIII—28,29). და 4. ვიწრო პორიზონტული ბაკოთი, მომრგვალებული გვერდით და ბრტყელი ძირით (ტაბ. XIV—30,31).

ჭურჭელთა უმრავლესობა სპილენძისაა. მათზე მოთავსებული წარწერების ანალიზი ცხადპყოფს, რომ სპილენძის თეფშები განსაკუთრებით არც ერთ სოციალურ ფენას არ მიეკუთვნება. ის მეფეთა, დიდებულთა და დაბალი ფენის პირადი მოხმარების გაჩუქების თუ გამოითვების საგანია. აღნიშნულ საუკუნეში თეფშების მრავალრიცხოვნება მიგვითითებს მათ ფართო მოხმარებაზე. თეფშების შესრულების ხარისხის ერთი დონე, დამზადების ერთი ტექნიკა, ზომისა და ფორმის ზედმიწევნითი დამთხვევა, წარწერათა დიდი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ თეფშები, უმეტესად, რომელიღაც დიდი სახელოსნოს ნაწარმია, მათი გავრცელების არე კი საკმაოდ ფართო.

თასის სახეობაში გამოიყო შემდეგი ტიპები: 1. დაბალი გვერდით, უქუსლო (ტაბ V,VI—15). 2. გადაშლილი პირით, მომრგვალებული დაბალი გვერდით, დაბალი ქუსლით (ტაბ. IX,X). 3. ძლიერ გადაშლილი პირით, დაბალი, დაქანებული, თითქმის სწორი გვერდით, დაბალი ქუსლით (ტაბ. X—23). 4. მომრგვალებული გვერდით, ფართო მაგრამ შედარებით შეკრული პირით, ბრტყელძირიანი, უქუსლო, ე. წ. დიდი თასი ანუ „ჯამთასი“ (ტაბ. XI—24). 5. ღრმა, პირშეკრული მაღალქუსლიანი თასები. (ტაბ. XVII—38). პირველი ტიპის თასი თარიღდება XII—XIII საუკ. თასის მომდევნო სამი ტიპი (II, III, IV) XVI—XIII სს-ით



თარიღდება. მათ საერთო აქვთ დაბალი ქუსლი, გადაშლილი კაპი
რი და დაბალი გვერდი. ამ ნიშნებით ისინი განსხვავდებიან მშუკა
ფეოდალური ხანის თასებისაგან (რომელთაც ქუსლი საერთოდ
არ გააჩნიათ, ხოლო გვერდი მეტად გადაშლილი და დაბალი
აქვთ) და მომდევნო XVIII ს. გავრცელებულ მაღალ-
ქუსლიან, ღრმა პირშეკრული თასებისაგან. ჩვენი აზრით, XVI—
—XVII სს-ით დათარიღებული ვერცხლის თასები გარდამავალი
ფორმაა ადრეული ხანის დაბალი უქუსლო თასებიდან გვიანი სა-
უკუნეების პირშეკრულ, მაღალქუსლიან თასებზე.

XVIII საუკუნით დათარიღებული თასები შეადგენენ სასმისი
ჭურჭლის მეხუთე ტიპს. მათთვის, XVII საუკ. თასებისაგან გან-
სხვავებით, დამახასიათებელია მიდრეკილება მაღალი ფორმებისა-
კენ.

საქართველოში კერამიკული და ლითონის ჯამ-თასები ერთ-
ერთი მრავალრიცხოვანი სუფრის ჭურჭელია. აღნიშნულ ტერმინს
გარკვეული პერიოდიდან ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება. „ხელ-
მწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს. ძეგლი) მეხელადედუხუ-
ცესის და მეღვინეთუხუცესის გვერდით მოიხსენიება მეჯამეთ-
უხუცესი, რომელსაც აბარია კარავი სამზარეულოსი და უვერც-
ხლო ჭურჭელი სპილენძისა და შეშისა¹.

წინამდებარე ნაშრომში შევიტანეთ, აგრეთვე, ფონდებში
დაცული ქრაქები, რამდენადაც ისინი საყოფაცხოვრებო ხასი-
ათის ჭურჭელთა რიცხვს მიეკუთვნებიან. საქართველოში სასახ-
ლეების თუ დიდებულთა დარბაზების გასანათებლად სასან-
თლეებს, მაშხალებს ხმარობდნენ. მათგან განსხვავებით ჩვენ
მიერ განხილული ნიქარის ფორმის ან ლამბაქისებური რკინა-
სპილენძის ქრაქები მოსახლეობის ფართო ფენების მოხმარების
საგანი უნდა ყოფილიყო.

ამგვარად, საკვლევი ჭურჭლის მასალად ძირითადად გამოყე-
ნებულია ვერცხლი და სპილენძი. სუფთა ოქროსაგან ჭურჭლის
დამზადება, როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, საქართვე-
ლოში ხდებოდა განსაკუთრებულ შემთხვევაში (მაგ., ბედიის ოქ-
როს ბარძიში, ან თასი ჩხოროწყუდან). ქართველი ხელოსნები

¹ ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტფილისი,
1920, გვ. 5, § 13.

უმეტესად მიმართავდნენ ვერცხლის ნივთების ოქროთი დაფერვას².

ქართული ლითონის ჭურჭელი მხატვრული თვალსაზრისით მაქსიმალური სისადავით ხასიათდება, რაც თავისთავად მოითხოვდა ფორმათა სრულქმნას და ჭურჭლის ზედაპირის ზედმიწევნით კარგად დამუშავება-გაპრიალებას. ამ მხრივ ვერცხლის ჭურჭელი გაცილებთ მომგებიანია, რადგან ის უკეთ მუშავდება ვიდრე ოქრო. ეს იყო ვერცხლის მასიურად გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი.

განხილული ლითონის ჭურჭელი (განურჩევლად გამოყენებულ მასალისა) ხასიათდება სისადავით, დამუშავების თავისებური ტექნიკით, დახვეწილი ფორმებით. ქართველმა ხელოსანმა შექმნა ყოველგვარი დეკორის გარეშე წარმოეჩინა ლითონის სპეციფიკა და ქართული ჭურჭლის თვითმყოფადი ხასიათი, რაც მეტყველებს ჭედურობის იმ დიდ ტრადიციებზე, რომელიც ოდითგან არსებობდა საქართველოში. ეს ხდება იმ დროსაც კი, როდესაც ძლიერდება ჯერ ირანული, შემდეგ კი რუსული გავლენა. აქ გვლინდება ამ საუკუნეთა ტენდენცია ძველი ქართული ჭედურობის ტრადიციების შენარჩუნებისა.

ჭურჭლის ადგილობრივობას, სხვა მხარეებთან ერთად, მხარს უჭერს მის მისაღებად გამოყენებული ერთადერთი ტექნიკური ხერხი — ჭედვა. ამ ხერხის გამოყენება შეიმჩნევა ადრეფეოდალური ხანით დათარიღებულ ურბნისის სპილენძის ჭურჭელზე. იგივე ხერხია გამოყენებული შუა ფეოდალური ხანის ნაქალაქართა განათხარ მასალებში დაცულ ლითონის ჭურჭელზე. ჭედვითაა დამზადებული გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული მშვიდობიანის, ერეკლესეული თუ ვახტანგ VI კუთვნილი — ვერცხლის და სპილენძის ჭურჭელიც. სადა ჭურჭელზე ჭედვის იარაღის ნაკვალევს გაპრიალება სიელვარეს მატებს, შუქჩრდილებს წარმოშობს და ამდენად მას ერთგვარ შემკულობის იერსაც კი აძლევს.

აკად. გ. ჩუბინაშვილი ჭედურობაში გამოყენებული მთელი რიგი ხერხების განხილვისას აღნიშნავს, რომ ორი ძირითადი ხერხიდან ჭედვა და ჩამოსხმა — საქართველოში გავრცელებული ყოფილა პირველი: «В основном те же приемы чеканки, как для

² Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, 23. 2—4.

იკონ, применялись и для сосудов, которые, как видно, по сохранившимся, хоть в незначительном только числе, древним экземплярам — делались так же от руки... Таким образом обычное соотношение этих двух техник — чеканки и литья — в Грузии особенно резко подчеркнуто: подавляющее количество чеканных, при ничтожном (если вообще!) числе литых»³.

ჭურჭლის ნაწილების დასაკავშირებლად სხვადასხვა ხერხის გამოყენება შეიმჩნევა. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით ოქროს ნივთებისათვის მზადდებოდა სპეციალური ხსნარი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძისაგან, რომელსაც „მყარი“ მირჩილვა ეწოდება. არსებობდა „რბილი“ მირჩილვის ხერხიც, როდესაც ხსნარი ვერცხლის, სპილენძისა და თუთიისაგან იყო დამზადებული. სპილენძისაგან დამზადებულ ჭურჭელზე გამოიყენებოდა ნივთიერება, რომელიც შედგებოდა კალისა და ტყვიის მინარეგებისაგან. არსებულ მასალებზე ხსნარის საშუალებით მირჩილვის გარდა შეიმჩნევა ჭურჭლის ნაწილების დაკავშირება კბილანების შესმის ხერხით. მას ვხვდებით ურბნისის სპილენძის ნაწარმზე, დმანისის ქრაქზე, მშვიდლობიანის განძის სპილენძის ქვაბზე.

ჭურჭლის ცალკეული ნაწილების დამზადება, მათი შეერთება, გამოჭედვა, ჩარხზე დამუშავება, წარწერების ვაკეთება და სხვა ტექნიკური პროცესები, ექვევარეშეა, მოითხოვდა კვალიფიცირებულ ხელოსნებს, რომელთა შორის შრომა ვიწრო სპეციალობის მიხედვით იქნებოდა განაწილებული. სამწუხაროდ, ფეოდალური პერიოდის წყაროების სიმწირის გამო, არ არის დადგენილი როგორ გამოიყურებოდა ჭურჭლის დამამზადებელი სახელოსნო.

ლითონის XVII—XVIII სს. ქართული ჭურჭლის მნიშვნელობას ზრდის წარწერები. მათი საშუალებით ვადგენთ ჭურჭლის გავრცელების პერიოდს, განვსაზღვრავთ წარმოშობას, ზოგ შემთხვევაში დგინდება მისი სახეობა, ვაზუსტებთ ისტორიულ პირთა ცხოვრების ზოგიერთ მომენტს და უცნობ გეოგრაფიულ პუნქტს. ზოგჯერ წარწერა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივი ფენების ცხოვრების ეკონომიური დონეც. წარწერების მიხედვით დასტურდება ისტორიული საბუთების მონაცემები ლითონის

³ Г. Н. Чубинашвили, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 11—12.

ქურჭლის მზითვად გატანების, ეკლესიისათვის ქურჭლის შეწირვის და გაჩუქების ტრადიციები.

ლითონის ქურჭელზე წარწერების გაკეთებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ტრადიციები აქვს. ასე, მაგალითად, აღმოსავლურ და რუსულ ლითონზე წარწერებს მუდამ მხატვრული მნიშვნელობა ჰქონდათ მინიჭებული. ამათგან განსხვავებით, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში წარწერების მნიშვნელობა მისი შინაარსობრივი მხარით განისაზღვრებოდა⁴. როგორც მასალის განხილვიდან ჩანს, საქართველოშიც იგივე მოვლენას ჰქონია ადგილი. წარწერის ფუნქცია წმინდა ინფორმატულია.

ქართული ლითონის ქურჭელი ანალოგებს პოულობს ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმთან. ფორმით მსგავსების გარდა, მათ საერთო აქვთ მხატვრული პრინციპებიც — ლითონის მსგავსად კერამიკაც საკმაოდ სადა ტონალობით ზასიათდება.

ქართული ლითონის ქურჭლის სიმცირე კერამიკასა და მინის ქურჭელთან შედარებით დამახასიათებელია ფეოდალური საქართველოს ყველა დროის არქეოლოგიური ძეგლისათვის. ადრე-ფეოდალური ხანის — ურბნისის, მცხეთის და უჯარმის, შუაფეოდალური ხანის — დმანისის, განჯისკარის, გუდარეხის და რუსთავის ნაქალაქარებზე, გვიანფეოდალური ხანის — ნაქალაქარ გრემისა და ანასხლარ ნოსტეს არქეოლოგიურ მონაპოვარში ლითონის ქურჭელი მცირე რაოდენობითაა. შუაფეოდალური ხანის განათხარ მასალებში ლითონის ქურჭლის სიმცირე გამოწვეულია ჯერ ერთი თვით მასალის სპეციფიკურობით. ლითონის ქურჭელი კერამიკისა და მინისაგან განსხვავებით უფრო გამძლე იყო. დაზიანების შემთხვევაში შეკეთების ან გადადნობის გზით ის კვლავ შედიოდა ხმარებაში. ამასთანავე, ფეოდალური ხანის საზოგადოების ეკონომიურად შეძლებული ნაწილის ნასახლარები თუ სამაროვნები ჯერ კიდევ ნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი, ხოლო მუდმივი ომებისაგან დანგრეულმა ნასოფლარებმა და ნაქალაქარებმა უფრო საშუალო და დაბალი სოციალური ფენის მატერიალური დონის ამსახველი სპილენძის ქურჭელი შემოგვინახა. ომების შედეგად ნადავლისა და ხარკის სახით ქვეყნიდან ბევრი ძვირფასი საქონელი, მათ შო-

⁴ Т. Гольдберг, и др. Русское золотое и серебряное дело, М., 1967, გვ. 28.



რის კეთილშობილი ლითონისაგან დამზადებული ჭურჭელიც იქ-
ნა გატანილი.

მსოფლიო „ვერცხლის კრიზისმა“ შუა საუკუნეებში, რო-
გორც ჩანს, ყველგან გამოიწვია ვერცხლის ნაკეთობათა შემცირება.
ცნობილია, რომ „ვერცხლის კრიზისი“ საქართველოსა და
ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებში ვერცხლის მონეტის მოსპობით
აღინიშნა⁵. სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია იგივე მიზეზი ლი-
თონის ჭურჭლის დამზადების შემადგერხებელ მოვლენად ჩა-
თვალოთ.

რაც შეეხება გვიანი შუა საუკუნეების ძეგლების არქეოლო-
გიურ მონაპოვარს — ეს პერიოდი საერთოდ გათხრილ ძეგლთა
სიმცირით აღინიშნება (ნაქალაქარი გრემი, ნასახლარი ნოსტე,
ქაქვიწყა). ამასთანავე აღნიშნული საუკუნეები საქართველოს ის-
ტორიაში რთული პოლიტიკური სიტუაციების, ეკონომიური და-
ცემის ხანაა, რამაც ხელი შეუწყო ქართული ნივთიერი კულ-
ტურის ცალკეული დარგების გაღარიბებას, ქვეყნის გარეთ გა-
ტაცებას და გადაძალას. ლითონის ჭურჭელი ოჯახის ეკონომიურ
სიძლიერის მაჩვენებელი იყო. ამიტომაც ომიანობის დროს
მას განსაკუთრებული გულმოდგინეობით ინახავდნენ. მშვიდობი-
ანობის დადგომასთან ერთად ჭურჭელი კვლავ უბრუნდებოდა
პატრონს, ნაწილი კი სამუდამოდ რჩებოდა მიწაში. ამან ერთ-
გვარად განაპირობა ლითონის ჭურჭლის აღმოჩენის შემთხვევითი
ხასიათი.

* * *

ნაშრომში ცალკე ჯგუფადაა გამოყოფილი არამრავალ-
რიცხოვანი (20 ნივთი), მაგრამ ფორმით მრავალფეროვანი
ირანული წარმოშობის სპილენძისა და თითბერის ჭურჭელი⁶.

ირანი სპილენძის ჭურჭლის წარმოების მხრივ ერთ-ერთ
წამყვან ქვეყნად ითვლებოდა მთელ აღმოსავლეთში. იქ დამზა-
დებული საოჯახო დანიშნულებისა თუ დეკორატიული ხასიათის
ჭურჭელი ვადიოდა როგორც აღმოსავლეთის რიგ ქვეყანაში,
ასევე კავკასიაშიც. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენდა
გამონაკლისს.

⁵ E. A. Пахомов, Монеты Грузии, ч. I СПб., 1910., გვ. 78.

⁶ კატალოგში არ განვიხილავს წარწერაში ჭურჭელი (ფორმის საჩვენებ-
ლად განხილულია მხოლოდ რამდენიმე), რადგან წარწერები დღესდღეობით
სპეციალისტების მიერ წაკითხული არ არის.



აღნიშნულ ფონდში ირანული წარმოშობის ჭურჭლის არსებობა ნივთიერი დადასტურებაა იმ ცხოველი საეპო-ეკონომიკური-კულტურული ურთიერთობისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ამ ორ ქვეყანას შორის.

განხილულ ჭგუფში მრავალი სახის და დანიშნულების სპილენძის ჭურჭელია. ეს არის სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭამები, იბრიყები, სასანთლებები. მათი თარიღი ძირითადად XVII—XVIII სს-ია, ნაწილი ჭურჭლისა კი XIX ს. I ნახევარს მიეკუთვნება. მხოლოდ რამდენიმე ექსპონატი (68—67:3... „46“, 38—65: 1) XIV—XV საუკუნეების ნიმუშებს წარმოადგენენ.

ყველა ჭურჭელი მუზეუმში შემოსულია სხვადასხვა დროს კერძო პირთაგან შესყიდვის გზით. ჭურჭლის ისტორიიდან ცნობილია მხოლოდ ფონდში შემოსვლის თარიღი.

დანიშნულების მიხედვით ირანულ ჭგუფში გამოიყოფა ჭურჭლის ორი ძირითადი სახეობა — იბრიყები და ჭამები.

სპილენძის ჭამების ერთი ჭგუფი დეკორატიული ხასიათისაა. ეს არის სხვადასხვა ზომის ჭურჭელი ფართო პირით, ოდნავ გამოყვანილი ყელით და მრგვალი მუკლით, საყვავილე ჭურჭელს მოგვაგონებს. ყელზე წარწერა აქვს, შემკულია „ისლიმითა“ და გეომეტრიული ორნამენტით. „მეანდრი“ გამოყენებულია ორი სხვადასხვა ორნამენტული მოტივის ერთმანეთისაგან გამოსაყოფად. (ა 8—41, 335გ., 73—38:138, 82—42:484 გ).

რაც შეეხება ნაკლებორნამენტირებულ დაბალგვერდიან, ბრტყელძირა ჭამებს, ისინი ყოველდღიური დანიშნულების სასმის ჭურჭელთა რიცხვს მიეკუთვნება; მაღალქუსლიანი, ღრმა, ჭამები კი კერძისთვისაა განკუთვნილი.

გვიანი საუკუნეების ირანისათვის მეტად დამახასიათებელია, აგრეთვე, სარიტუალო ჭამები, რომელიც დაბალი გვერდებით, ბრტყელი ძირით და შუაში წაქვეთილი კონუსისებური ბურცობით ხასიათდება. ასეთ ჭამებზე ორივე მხრიდან ამოკვეთილია ნაწყვებები ყურანიდან, სხვადასხვა სახის ლოცვები და წინასწარმეტყველებანი. ჭამების ჭგუფი ძირითადად XVIII ს-ით თარიღდება.

რაც შეეხება ჭურჭლის მეორე ტიპს — იბრიყს — ირანში ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმა ყოფილა. გარეგანი



ფორმის მიხედვით იბრიყის რამდენიმე ჯგუფი არსებობდა: მრგვალმუცლიანი ორ გვერდზე შებრტყელებული, მრგვალმუცლიანი და მალაქუსლიანი, უსახელო და სახელურიანი მცირე ზომის იბრიყები და სხვ. ამ უკანასკნელის ტიპისაა კატალოგში წარმოდგენილი ჭურჭელი (59—40:366 გ). მეორე ამგვარე ჭურჭელი ფოლადის, შედარებით მცირე ზომისაა, მოზარნიშებუ-ლია (№ 107—381887 გ). იგი დეკორატიული ხასიათის მატარე-ბელია.

საოჯახო და სარიტუალო დანიშნულების იბრიყები ძირითა-დად სპილენძისაგან მზადდება, დეკორატიული კი — თითბრისაგან, ზოგჯერ — ფოლადისაგან. იბრიყები XIX ს-ით თარიღდება, თუმცა ფორმა ადრევეა ცნობილი ირანში. ის გვიანსაუკუნეების ირანში მეტად პოპულარულია, როგორც სარიტუალო განზანისათვის სა-ჭირო ჭურჭელი.

ირანში სპილენძის ჭურჭლის გარეგან მხატვრულ დამუშა-ვებას ძველთაგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ყოველგვარი სა-ხის ჭურჭლის გარეგან დამუშავებაში ირანელი ხელოსნები მრავალფეროვან ორნამენტს და დამუშავების მრავალ ხერხს იყენე-ბდნენ.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ირანში სპილენძისა და თითბრის ჭურჭლის ორნამენტირების მრავალი ხერხი არსებობ-და: ტვიფრა, ამოკვეთა, მარილმჯავას ხსნარით ორნამენტის „ამოჭრა“, ძვირფასი ლითონებით ინკრუსტაცია (უფრო შუა საუ-კუნეების ლითონში გვხვდება), აყურული ჭრა და ორგანული საღებავით მოჭატვა. ამ ხერხებში ყველაზე მეტად ამოკაწვრა-ამო-კვეთა იყო გავრცელებული, რაც, რასაკვირველია, სპილენძის თა-ვისებურებით იყო გამოწვეული⁷.

XII—XIV საუკუნეებით დათარიღებული ირანული ჭურჭლის ზედაპირი დაფარულია წვრილი მცენარეული ორნამენტით. ეს ძი-რითადად მცენარეული ტოტების გრეხილია, რომელზედაც წვრი-ლი და მეტად ხშირი ფოთლები და ყვავილებია ამოკვეთილი. მცენარეული მოტივი აღნიშნულ ხანაში, თითქმის როგორც წესი, ნადირობისა თუ სხვა სცენებისათვის ფონს წარმოადგენს. იგი გამოყენებულია, აგრეთვე, წარწერების გადმოსაცემად. მცენარე-

⁷გ. კვიციანი, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968 გვ. 121.



ული მოტივი ამავე დროს სხვა გამოსახულებებთან ერთად ორნამენტის საერთო სახეს ქმნის.

ამავე პერიოდის ჭურჭლისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე მისი სხვადასხვა ნაწილის, უფრო მეტად სახელურების, დოქის ტუჩის; გამოსახატავად ზომომორფულ გამოსახულებათა გამოყენება. უფრო მეტად კი ცხოველთა გამოსახულებებს ჭურჭლის ორნამენტში ვხვდებით. მცენარეული ორნამენტის ფონზე, რომლითაც ისეა დატვირთული ჭურჭლის ზედაპირი, რომ თითქოს ადგილიც კი არ რჩება სხვა მოტივებისათვის, ცხოველის გამოსახულება გადმოცემულია ბუნებრივ მოძრაობაში. მცენარეთა და ცხოველთა სახეების გვერდით ვხვდებით ფრინველებსაც, რომლებიც უმთავრესად პროფილში არიან მოცემული.

ამავე პერიოდის ირანის ჭურჭლისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ჭურჭლის ინკრუსტაცია ვერცხლით, ოქროთი ან თვით სპილენძით. ამ ხერხით შემკული ჭურჭელი ჩვენს ფონდებში დაცული არ არის.

XVI—XVII სს-ის ლითონის ჭურჭლის შემკულობაში ხდება ცვლილებები. ორნამენტი შედარებით სადაა, ნაკლებადაა გამოყენებული ცხოველთა და ფრინველთა სამყაროც, ხშირი მცენარეული ორნამენტით დაფარული ფონი იცვლება წვრილი ბადით. მუქი ფერის ფონი, რასაც ხშირი, წვრილი ურთიერთგადამკვეთი ხაზები ქმნის, რელიეფურად წინ სწევს შემკულობის ძირითად მოტივს და წარწერებს, რომლითაც უხვადაა შემკული ჭურჭლის ზედაპირი.

აღნიშნულ ხანაში მცენარეული ორნამენტი მსხვილი და უფრო გამოკვეთილი ხდება. გაშლილ მცენარეულ ორნამენტს ნებისმიერად გადახლართულ-გადაბმული მცენარის მოგრძო ტოტიცვლის, რომელსაც ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან მონაცვლეობით ფოთოლი აქვს წამოსხმული, ხშირად ყვავილის ნაყოფიც. ბადის წარმოშობასთან ერთად მცენარეულ მოტივს ცალკე გამოეყო გეომეტრიული ორნამენტი, რომელიც გამოიყენებოდა ძირითადი ორნამენტული მოტივის ერთმანეთისაგან გამოსაყოფად. ამ დროიანათვის ცნობილი ხდება გეომეტრიული ორნამენტის, ე. წ. „მეანდრის“ — ტეხილი ხაზების სხვადასხვა ვარიანტები.

ნაშრომში განხილულია ასევე მცირე ჯგუფი ჭურჭლისა, რომელთა წარმომამგლობაც ჩვენთვის უცნობია.

კ ა ტ ა ლ ო გ ი

1. ქართული ზურავილი

1. (ინვ. № 1—60:2769).

სპილენძის თეფშიბრტყელი ძირით, რომელიც დაბალ გვერდ-ში გადადის. ჭურჭელი სპილენძის, თხელი ფურცლისაგანაა ნაჭე-დი. ჭურჭელს გარე პირზე ჭედვის ნაკვალევი ეტყობა.

ზ ო მ ა: სიმაღლე — 4 სმ, პირის დმ — 31 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: თეფში მთლიანია, ზედაპირი ნაწილობრივ დაქანგულია.

ნაქალაქარი ურბნისი, 1959, უბანი XX. V—VI სს.

გამოქვეყნებულია, ლ. კილაშვილი, ურბნისი, გვ. 101—102.

2. (ინვ. №1—60:2770).

სპილენძის თეფში, ბრტყელი ძირი თანდათან გადადის ჭურჭლის დაბალ გვერდში. ჭურჭელი ნაჭედია სპილენძის თხელი ფურცლისაგან.

ზ ო მ ა: სიმაღლე — 4,5 სმ, პირის დმ — 37,2 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ჭურჭლის ძირი ქანგისაგანაა შექმული და დამტვრეულია.

ნაქალაქარი ურბნისი, 1959, უბანი XX.

V—VI სს.

გამოქვეყნებულია, ლ. კილაშვილი, ურბნისი, გვ. 102.

3. (იხვ. № 1—60:2771).



სპილენძის პატერა, დიდი ზომის ნახევარსფერული მოყვანილობის თასს მოგვაგონებს, შერჩენილი აქვს ხის ტარის დასაგები მილი. ტარი კურკელთან მანჭუალით არის დამაგრებული.

ზომა: პირის დმ — 29 სმ, სატარე ნაწილის სიგრძე — 10 სმ. დაცულობა: კურკელი დაზიანებულია, შერჩენილია კურკლის ერთი $\frac{1}{3}$, დაქანგულია.

ნაქალაქარი ურბნისი, 1959, უბანი XX.

V—VI სს.

გამოქვეყნებულია, ლ. ქილაშვილი, ურბნისი, გვ. 102. შდრ. კურკლის ფორმა მ. ივაშჩენკო, სამთავროში აღმოჩენილი ზოგიერთი საგნის დანიშნულება, სმამ, ტ. VII, № 5, 1946. კ. მაჩაბელი, ვერცხლის პატერა არმაზისხევიდან, ძეგლის მეგობარი, 26, გვ. 5.

4. (იხვ. № 1—60:2773).

სპილენძის ქვაბი, მაღალი სწორი გვერდებით, ნაპირაკეცილი ჰორიზონტალურად გადაშლილი ბაკოთი, ძირი ოდნავ მომრგვალებული აქვს. გამოქედილია სპილენძის ერთი თხელი ფურცლისაგან. დაზიანების ადგილები დაკერებულია სპილენძისვე ფირფიტით. ფირფიტები დამოქლონებულია.

ზომა: პირის დმ — 34 სმ, სიმაღლე — 20 სმ.

დაცულობა: დაზიანებული ნაწილები შეკეთებულია. კურკელი მთელია.

ნაქალაქარი ურბნისი, 1959, უბანი XX.

V—VI სს.

გამოქვეყნებულია, ლ. ქილაშვილი, ურბნისი, გვ. 102. შდრ. Davidson. Corinth, XII, ტაბ. 50.

5. (იხვ. № 1—60:1773).

სპილენძის ქვაბი, მაღალი სწორი გვერდით, ნაპირაკეცილი. ჰორიზონტალურად გადაშლილი ბაკოთი, ძირი ოდნავ მომრგვა-

ლებული აქვს. გამოქვედილია სპილენძის თხელი ფურცლისაგან.

ზომა: პირის დმ — 39 სმ, სიმაღლე — 21 სმ.

დაცულობა: ჭურჭელი მთელია.

ნაქალაქარი ურბნისი, 1959, უბანი XV.

V—VI სს.

გამოქვეყნებულია. ლ. კილაშვილი, ურბნისი, გვ. 102.

შღრ. Davidson, Corinth. XII, ტაბ. 50.

6. (ინვ. № დმ. 3337).

სპილენძის ჭრაქი, ნიჟარის ფორმის, თხელკედლიანი, წაწვეტებული ტუჩით, ძირი—ბრტყელი. ნაქედია სპილენძის ერთი ფურცლისაგან. ჭრაქის ყური ტანთან კბილანებითაა დაკავშირებული.

ზომა: სიმაღლე — 2,5 სმ.

დაცულობა: აკლია ყურის ნაწილი.

ნაქალაქარი დმანისი, 1937.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე, XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმმ XXVII—B ტაბ. 1.

შღრ. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში, მსკი. ტ. I; Б. Н. Аракелян, Г. О. Карахянян, Гарни III, Ереван, 1962, таб. III.

7. (ინვ. № დმ. 1689).

სპილენძის ჭრაქი, სქელფურცლოვანი, სპილენძის ფირფიტისაგანაა დამზადებული. ფორმით იგი მრგვალია, ფინჯნის ტიპის, ძლიერ წაწვეტებული ტუჩით, რომელიც სამკუთხა გადმოსასხამით ნთავრდება. ძირი—ბრტყელი, აქვს სამყურა ფოთლისმაგვარი ყური, სტილიზებული მცენარეული ორნამენტით შემკული.

ზომა: სიმაღლე — 3 სმ.

დაცულობა: ჭრაქი მთელია.

ნაქალაქარი დმანისი, 1937.

XI—XIII სს.



გამოქვეყნებულია, ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, რემკ. 1938, გვ. 419.

შტრ. Б. Аракелян, Г. Караханян, Гарни III, № 1966/83; А. М. Беленицкий, О работе Пенджикетского отряда, 1959 г. АРТ. VIII, გვ. 87. A. Pope, A Survey... VI 1312.

8. (იხვ. № დმ. 3339).

სპილენძის ჭურჭელი, მრგვალმუცლიანი, პირი ოდნავ გადმოკეცილი, ერთმანეთის გასწვრივ სიმეტრიულად განლაგებული ოთხი ტოლი შვერილით. ერთ-ერთ შვერილზე ფართო ღარისებური სატუჩე აქვს გაკეთებული. ჭურჭელი თხელკედლიანია. ჭურჭლის მრგვალი ძირი სადგარს მოითხოვს. ჭურჭელი მოკალღული ყოფილა, კალა ზოგ ადგილას აქვს შერჩენილი.

ზომა: პირის დმ — 6, სიმაღლე — 2,5 სმ.

დაცულობა: აკლია სამი ფეხი.

ნაქალაქარი დმანისი, 1937.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. კიქნაძე, XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმ XXVII-B ტაბ. II.

შტრ. И. Орбели, Албанские рельефы и албанские котлы, П. Э. Р., 1938, გვ. 309. Mayer, Islamic Metalworkers, ტაბ. II.

9. (იხვ. № დმ. 3338).

სპილენძის ჯამი, ღრმა, პირშეკრული, კანელურებით 'შემკული, რომლებიც ჭურჭლის ფორმის შესაბამისად ძირისაკენ ვიწროვდებიან, მცირე დიამეტრის მქონე ძირი შეუმჩნეველად გადადის გვერდებში. ჭურჭელს პირის კიდე შესქელებული აქვს, რის გამოც იგი ოდნავ განიერია და გამოყოფილია გვერდისაგან. ჭურჭელი თხელკედლიანია. გაწნეულია სპილენძის ერთი ფურცლისაგან. ჯამი მოკალღული ყოფილა.

ზომა: პირის დმ — 8 სმ, სიმაღლე — 3,5 სმ.

დაცულობა: აკლია 1/3-ზე მეტი.

2. გ. კიქნაძე

5 298.154
3



ნაქალაქარი დმანისი, 1937.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე. XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმმ XXVII-B, ტაბ. I.

შდრ. მცხეთა I, ტაბ. VIII: Смирнов, Восточное серебро, СПб, 1909, ტაბ. XIX, სურ. 72. სტილისტურად, მიმაგ-ში დაცული 1899 წ. კოლექცია.

10. (ინვ. № 2—57:120).

სპილენძის კოვზი, მრგვალი პირით, ოდნავ ღრმა, ტარი ბრტყელი. კოვზი გამოქედილია სპილენძის ერთი ფურცლისაგან. ზომა: პირის დმ — 3,8 სმ.

დაცულობა: აკლია ტარის ნაწილი.

უჯარმა, 1950, II უბანი, ოთახი № 2.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე, XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმმ XXVII—B, ტაბ. I.

11. (ინვ. № 2—57:488).

სპილენძის კოვზი, ოვალური და საკმაოდ ღრმა პირით, ტარი თავსა და ბოლოში ბრტყელია, ხოლო შუაში მრგვალგანიცვეთიანია. კოვზის ტარი ორნამენტირებულია. ტარი პირთან დამაგრებულია მოქლონის საშუალებით. კოვზი მოკალულებულია. იგი მიღებულია ჭედვით.

კოვზის ტარის სიგრძე — 12,5 სმ.

დაცულობა: კოვზი კარგად არის შენახული.

უჯარმა, 1951.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე, XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმმ XXVII—B ტაბ. I. შდრ. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство ил. 138, 204 (ორნამენტი).

სპილენძის ქოთანი, მაღალი, პირგადმოკეცილი, მუცელგანი-
 ერი ჭურჭელი, ფართო ვერტიკალური კანელურებით შე-
 მკული. ჭურჭელი თხელკედლიანია. დამზადებულია ქედვის ხერხით.
 ქოთანი მოკალული ყოფილა.

ს ი მ ა ლ ლ ე — 16 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ჭურჭელს აკლია $\frac{2}{3}$.

XI—XIII სს

გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე, XI—XIII სს. ჭურჭელი, სსმ
 XXVII—B ტაბ. III.

შლრ. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, თბ., 1956, ტაბ. VIII.

13. (ინვ. № 13—66:1, მიმდ. შემოს. ფონდი).

ვერცხლის თასი, დაბალი, გადაშლილი პირით და ბრტყელი
 უქუსლო ძირით. ცენტრში მრგვალი კოპით, რომელიც მიჩნეილუ-
 ლია ფსკერზე. მიჩნეილვის ადგილი დაფარულია გრებილი წვრი-
 ლი ვერცხლისავე მათულით. კოპი ოქროთია დაფერილი. მცენა-
 რეული ორნამენტით — სამფურცელა მოგრძო ყვავილებით — კო-
 პი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი, რომლის ცენტრში ბროწეულის თი-
 თო ყვავილი ზის. მის ირგვლივ ჭურჭლის ძირზე ამოკვეთილია ექვ-
 სქიმიანი ვარსკვლავი. ჯამის ძირის თავისუფალ ნაწილში და ვარსკ-
 ვლავის ქიმებს შორის არეზე კანელურებია ამოტვიფრული. კანე-
 ლურები თასის გვერდებზე ქმნის ცნობილ ქართულ ორნამენტს
 — ბრიალას.

ზ ო მ ა: პირის დმ — 13,5 სმ, სიმაღლე — 2,5 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ჭურჭელი კარგადაა შენახული.

აღმოჩნდა ვანის ქვაბებში არქეოლოგიური გათხრების დროს
 1965 წელს;

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი,
 ძეგლის მეგობარი, 6.

შლრ. Древности приднепровья, Киев, 1901, IV, ტაბ. XVII.

ვერცხლის თასი დაბალი, გადაშლილი პირით, ბრტყელი უქუსლო ძირით. თასის ცენტრში კოპია მირჩილული. მირჩილვის ადგილი გრეხილი წვრილი ვერცხლისავე მავთულითაა დაფარული. კოპზე ექვსქიმიანი ვარსკვლავია, ე. წ. „სოლომონის ბეჭედი“, ცენტრში ჯვრით. ორნამენტი სევადითაა შესრულებული.

ზომა: პირის დმ — 13,5 სმ, სიმაღლე — 2,5 სმ.

დაცულობა: ჭურჭელი კარგადაა შენახული.

XII—XIII სს.

აღმოჩნდა ვანის ქვაბებში გათხრების დროს 1965 წელს. გამოქვეყნებულია, გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი. ძეგლის მეგობარი, 6, შდრ. № 13 ჭურჭელს.

15. (ინვ. № 13—66:3, მიმდ. შემოს. ფონდი).

ვერცხლის თასი, დაბალი, გადაშლილი პირით, ბრტყელი უქუსლო ძირით. ჭურჭლის ცენტრში კოპია მირჩილული. მირჩილვის ადგილი გრეხილი წვრილი ვერცხლისავე მავთულითაა დაფარული. კოპზე მცენარეული ხვეულაკია ამოჭრილი. თასის გვერდებზე ამოტვიფრულია კანელურები. ჭურჭელი მიღებულია ჰეღვით.

ზომა: პირის დმ — 14, სიმაღლე — 3 სმ.

დაცულობა: ჭურჭელი მთელია.

აღმოჩნდა ვანის ქვაბებში არქეოლოგიური გათხრების დროს 1965 წ.

XII—XIII სს.

გამოქვეყნებულია, გ. გაფრინდაშვილი, ვანის ქვაბის განძი. ძეგლის მეგობარი, 6.

შდრ. Смирнов, Восточное серебро, ტაბ. 224, С. II 225 CXXVIII, 315.

16. (ინვ. № „ა“ 1477).

სპილენძის ჭრაქი ყურიანი, მოგრძო ფორმის, მუცელი მრგვალი აქვს, გრძელი. ზემოთ აწეული ტუჩით. ტუჩის ბოლო

შედარებით სქელკედლიანია. იგი წვრილი ხაზებითაა დაღარული. ყური განივკვეთში ოვალურია, მასზე წიწვოვანი ორნამენტული ამოკაწრული. კრაქი ოთხ პატარა ფეხზე დგას, რომელიც ცალკეა დამზადებული და შემდეგ მირჩილული ტანთან.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

აღმოჩენის ადგილი უცნობია.

XII—XIII სს.

შდრ. მსკი, ტ. II, 1963, სურ. 63, 12; ო. ჯაფარიძე, განჯის-კარის 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მსკა, თბ., 1955, ტ. I, გვ. 33.

17. (ინვ. № 94—66:208—204).

სპილენძის თევში, დიდი ზომის, ბრტყელი ძირით, უქუსლო, დაბალი, მომრგვალებული გვერდით, პირგადაშლილი, აქვს საკმაოდ ფართო, ჰორიზონტალური ბაკო.

ჭურჭელს ბაკოზე დაყვება ამოდარული ოთხი პარალელური ხაზი. ცენტრში ამოკვეთილია ერთმანეთზე გადახლართული ელიფსის ფორმის ხაზები. ბაკოზე გამოსახულია მომცრო ზომის ჯვარი.

ზომა: პირის დმ — 31 სმ, ბაკოს სიგანე — 2 სმ.

დაცულობა: თევში მთელია.

გრემი, ნაჭალაქარის ტერიტორია.

XVI—XVII სს.

18. (ინვ. № 94—66:205).

სპილენძის თევში, დიდი ზომის, ბრტყელი ძირით, უქუსლო, დაბალი, მომრგვალებული გვერდით, პირგადაშლილი. აქვს საკმაოდ ფართო, ჰორიზონტალური ბაკო.

ძირზე, კონცენტრულ წრეებს შორის არეზე, მცენარეული ორნამენტის ხვეულაკები გადახლართულია სამყურა გვირგვინის მსგავსი ყვავილის გამოსახულებაში. ჭურჭელს ბაკოზე ამოკაწრული აქვს ჯვარი და აზის დამლა.

ზ ო მ ა: პირის ღმ — 29 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: კურკელი მთელია.

გრემი, ნაქალაქარის ტერიტორია.

XVI—XVII სს.



19. (ივგ. № 94—67:845).

სპილენძის კოვზი, მრგვალი ღრმა პირით. კოვზს ტარი ოქ-
ნის აქვს. ტარი პირთან მიმაგრებულია სპილენძის მოქლონით.

ზ ო მ ა: პირის ღმ — 13 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: ტარი გატეხილია.

გრემის ნაქალაქარის ტერიტორია.

XVI—XVII სს.

20. (ივგ. № 81—68:1—3).

სპილენძის ბარქაში, დიდი ზომის, საკმაოდ ღრმა, პირშეკრუ-
ლი, მრგვალი, გამოყვანილი გვერდით. ნაპირაქვეცილი, ოდნავ
დაქანებული ფართო ბაკოთი, ბრტყელი ძირით და დაბალი ქუს-
ლით.

ზ ო მ ა: პირის ღმ — 29 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: კურკელი მთელია.

სოფ. საქობო.

XVI—XVII სს.

21. (ივგ. № 66—970:1).

ვერცხლის თასი, გადამლილი პირით, ნაპირშესქელებული,
მომრგვალებული დაბალი გვერდით, ძლიერ დაბალი ქუსლით.
ძირზე მცირე დიამეტრის წრე შემოყვება. მეორე წრე ამოლა-
რულია ძირიდან გვერდზე გადასვლის ადგილზე. გარედან თასის

პირს ერთი ამოდარული ხაზი დაყვება, ძირზე კი მრავალსტრიქონიანი მხედრული წარწერაა გაკეთებული: „ქ. შემოგწირო მეორე ორგის გამდელმან სანდომისამან თქვენ დამკანუსს წმინდას გიორგის თასი ესე მეფისა პატრონისა ალექსანდრეს სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად შეეწირო შენ წმინდა გიორგი მცირე ესე შესაწირავი და წარმართე მეფობა პატ ალექსანდრეს და მის მტერზედ გამარჯვებით ამყოფე“.

ზომა: პირის დმ — 13 სმ, ძირის დმ — 6,5 სმ.

დაცულობა: ქურჭელი მთელია.

ნაპოვნია სოფ. მშვიდობიანში (ლაგოდეხის რ-ნი) 1964 წ. XVI საუკ. და XVII საუკ. დასაწყისი.

შდრ. Русское золотое и серебрянное дело, ტაბ. 34. Смирнов, Восточное серебро, ტაბ. XXXI, სურ. 146 (ქურჭლის ფორმა).

22. (იხვ. № 66—970:2).

ვერცხლის თასი, გადაშლილი პირით, ნაპირშესქელებული, მომრგვალებული დაბალი გვერდებით, ძირშედრმავეებული დაბალი ქუსლით. ქურჭლის გარე პირზე ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერაა: „ქ. არის ესე თასი წმინდის გიორგის დამკანუსისა“.

ზომა: პირის დმ — 13,5 სმ, ძირის დმ — 6,8 სმ.

დაცულობა: თასი მთელია.

ნაპოვნია სოფ. მშვიდობიანში 1964 წ.

XVI საუკ. და XVII საუკ. დასაწყისი.

შდრ. Русское золотое и серебрянное дело, ტაბ. 34. Я. Смирнов. Восточное серебро, ტაბ. XXXI, სურ. 146 (ქურჭლის ფორმა).

23. (იხვ. № 66—970:6).

ვერცხლის თასი ძლიერ გადაშლილი პირით, თითქმის სწორი დაბალი გვერდით, ძირშედრმავეებული დაბალი ქუსლით.

ზომა: პირის დმ — 9 სმ.

დაცულობა: თასი მთელია.
ნაპოვნია სოფ. მშვიდლობიანში 1964.
XVI საუკ. და XVII საუკ. დასაწყისი.



24. (ინვ. № 66—970:8)

ვერცხლის თასი, დაბალი, უქუსლო, უმნიშვნელოდ გადაშლილი პირით, ნაპირი ოდნავ შესქელებული და გადმოკეცილი აქვს. მრგვალი გვერდი შეუმჩნეველად გადადის ბრტყელ ძირზე. ჭურჭელი რელიეფური კანელურებითაა შემკული. რელიეფობას აძლიერებს ამოღარული ხაზები. ხაზების ერთმანეთთან გადაბმა ჭურჭლის ძირზე რვაქიმიან ვარსკვლავის გამოსახულების მსგავსია.

ჭურჭლის ძირზე, გარედან ამოტვიფრულია ერთმანეთზე გადაბმული ნახევარწრეები და ტოლფერდა სამკუთხედები, რომელიც მცენარეულ ორნამენტს ქმნის.

ჭურჭელს გარედან მხედრული წარწერა აქვს გაკეთებული: „ქ. არის თასი წმინდის გიორგის ღამკანუხისა“.

ზომა: პირის დმ — 20,7 სმ.

დაცულობა: თასი მთელია.

ნაპოვნია სოფ. მშვიდლობიანში 1964 წ.

XVI—XVII სს.

25. (ინვ. № 66—970:4—5).

ვერცხლის თევში ბრტყელი ძირით, დაბალი, ვერტიკალური გვერდით, ცენტრში ნაწერტით. თევში სრულიად სადაა. გარედან ჭურჭელს ეტყობა ჭედვის იარაღის კვალი.

ზომა: პირის დმ — 19,3 სმ, ძირის დმ — 16,5 სმ.

დაცულობა: თევში მთელია.

ნაპოვნია სოფ. მშვიდლობიანში 1964 წ.

XVI—XVII სს.

26. (ინვ. № 66—970:7).

ვერცხლის სანელსაცხებლე. მაღალი ცილინდრული ყელით და მრგვალი მუცლით. ჭურჭლის პირს, აგრეთვე ყელსა და მუც-

ლის შეერთების ადგილს შემოუყვება ვერცხლისავე რელიეფური წვრილი რგოლები. სანელსაცხებლეს აქვს ნახევარსფეროს მოყვანილობის სახურავი, რომელიც მჭიდროდ ჯდება ქურჭლის ყელში. ქურჭელს აქვს ბრტყელი ყური, რომლის ერთი ბოლო პირთანაა დაკავშირებული, მეორე კი მთცელზეა დამაგრებული.

ზომა: ყელის სიმაღლე — 3 სმ, პირის დმ — 1,2 სმ.

დაცულობა: შერჩენილია ყელისა და მთცელის ნაწილი.

ნაპოვნია სოფ. მშვიდობიანში 1964 წ.

XVI—XVII სს.

27. (ინვ. №66—970:8).

სპილენძის ქვაბი, მრგვალმუცლიანი, პირისაკენ ოდნავ ვიწროვდება და შედარებით გამოყვანილ ყელში გადადის, ძირი ბრტყელი. მოპირდაპირე მხარეს ქვაბს სპილენძისავე სალტეები აქვს დამოქლონებული.

ზომა: პირის დმ — 32 სმ, სიმაღლე — 23 სმ.

დაცულობა: ქვაბს აკლია სახელურები.

ნაპოვნია სოფ. მშვიდობიანში 1964 წ.

XVI—XVII სს.

28. (ინვ. № 1—47:581).

სპილენძის თეფში. გადაშლილი, ლანგრის ტიპისაა. ოდნავ ღრმა, ფართო დახრილი პირით, რომელსაც ნაპირზე ღარი შემოყვება. ქურჭლის ფსკერზე ნაწერტით, რომელსაც ორი კონცენტრული წრე აქვს შემოვლებული. თეფში სქელკედლიანია. იგი მოკალუელი ყოფილა, ზოგ ადგილას კალა აცლილი აქვს. ქურჭელი სადაა, მხოლოდ გარედან, პირის გარშემო, ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერა დაჰყვება „ქ: სააკაძის: გიორგისა და შიოშისა არის“.

თეფში დამზადებულია ჰედვით, სპილენძის ერთი ფურცლისაგან. ქურჭლის გარე პირს ეტყობა ჰედვის იარაღის კვალი.

ზომა: პირს დმ — 25 სმ.

დაცულობა: კურკელი კარგადაა დაცული.
ნაპოვნია 1915 წ. არზრუმის მახლობლად.
XVI საუკ. ბოლო და XVII საუკ. დასაწყისი.
გამოქვეყნებულია, გ. კიკნაძე, XVII—XVIII სს. ქართული
კურკელი. სსმ XXVIII—B. ტაბ. III.

29. (იხვ. № 66—971:127).

სპილენძის თევზი დაბალი, ძლიერ გადაშლილი პირით, ფართო ბაკოთი. თევზი სადაა. გარე პირზე მხედრული წარწერა აქვს.

ზომა: პირს დმ — 15 სმ.

დაცულობა: კურკელი მთელია.

ახალსოფელი, 1971.

XVII საუკ.

შდრ. გ. კიკნაძე, XVII—XVIII სს. ქართული კურკელი, სსმ XVIII—B ტაბ. 1. Русское золотое и серебрянное дело, სურ. 3.

30. (იხვ. № 38—84:2).

სპილენძის თევზი, ღრმა, აქვს ვიწრო პორიზონტალურად გადმოკეცილი პირი. კურკელი თხელკედლიანია. იგი მოკალღული ყოფილა, კალა ზოგ ადგილასლა აქვს შერჩენილი.

თევზი სადაა. მისი შემკულობა ერთსტრიქონიანი მხედრული წარწერაა, რომელიც კურკლის გარე პირს დაყვება. წარწერის შინაარსია „მეფე ვახტანგ“.

ზომა: პირის დმ — 21 სმ.

დაცულობა: თევზს ჩამოტეხილი ჰქონდა ნაპირი. რეს-ტავრირებულია.

ნაპოვნია კოჯორში, 1961 წ.

XVIII საუკ. I მეოთხედი.

31. (ინვ. № 38—64:4).

სპილენძის თეფში, ღრმა, აქვს ვიწრო პორიზონტალურად გადმოკეცილი პირი. ფსკერზე აღნიშნულია სიმძიმის ცენტრი, რომელსაც კონცენტრული წრეხაზები შემოყვება. მოკალთული ყოფილა, კალა, აცლილია.

თეფში სადაა. გარე პირზე მხედრული წარწერაა: „მეფე ბაქრ“.

ზომა: პირის დმ — 20 სმ.

დაცულობა: პირი ჩამოტეხილი ჰქონია, აღდგენილია.

ნაპოვნია კოჯორში განძის სახით 1961 წ.

XVIII საუკ. I მეოთხედი.

32. (ინვ. № 38—64:1 მიმდ. შემოს. ფონდი).

სპილენძის ჯამი, საკმაოდ ღრმა, პირშეკრული, მრგვალმუცლიანი, ძირისაკენ ოდნავ ვიწროვდება, ქუსლი მაღალია, გამოყვანილი და ძირშედრმავებული.

ჯამი ორი ნაწილისაგან შედგება: ქუსლისა და ტანისაგან. ტანს ირგვლივ დაყვება ამოღარული პარალელური ორი ხაზი, რომლის ქვემოთ ნახევრად წაშლილი მხედრული წარწერაა მოთავსებული: „ქ... ვს ხარ“.

ჯამი სრულიად სადაა, მოკალვის ნაშთიღაა შერჩენილი. იგი დამზადებულია ჰედვით, ზედაპირზე ჰედვის იარაღის კვალია. ჯამის ცალკე ნაწილების ტანისა და ქუსლის ერთმანეთთან შეერთებისას გამოყენებულია მირჩილვა.

ზომა: პირის დმ — 15 სმ, ძირის დმ — 7 სმ, სიმაღლე — 8,2 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

ნაპოვნია კოჯორში განძის სახით 1961 წ.

XVIII საუკ. I მეოთხედი.

სპილენძის ჯამი, ღრმა, პირი ფართო და გადაშლილი, ტანი ოდნავ გამოყვანილი, რომელიც ძირისაკენ ვიწროვდება, ქუსლი თითქოს გადაკვეთილი აქვს და ძირშედრმავებული. ჯამის ტანს შუაში შემოყვება ამოღარული ორი პარალელური ხაზი, რომლის ზემოთ მოთავსებულია ერთსტრიქონიანი წარწერა: „მეფის ირაკლი“.

ჯამის ნაწილები — ქუსლი და ტანი ერთმანეთთან მირჩილვითაა დაკავშირებული. ჯამი მოკალუღია, სადა.

ზომა: პირის დმ — 16 სმ, ძირის დმ — 8 სმ, სიმაღლე — 8,2 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.
XVIII საუკ. II ნახევარი.

34. (ინვ. № 60—67:2 მიმდ. შემოს. ფონდი).

სპილენძის ჯამი, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, გვერდები შეუმჩნევლად გადადის ბრტყელ ძირში. ჭურჭელს ქუსლი უნდა ჰქონოდა. ძირი დაზიანებია და დაუმოქლონებიათ სპილენძისავე ფირფიტით, გამოყენებულია ბრტყელთავა მოქლონი. ჯამი მოკალუღი ყოფილა, კალა ზოგ ადგილასლა აქვს შერჩენილი.

ჯამს გვერდებზე ორი ამოღარული ხაზი დაყვება. ხაზის ზემოთ, ჭურჭლის პირს დაყვება მხედრული წარწერა: „ქ. ბატონის შვილის მარიამის გამირეულის არ“.

ზომა: პირის დმ — 13,5 სმ, სიმაღლე — 6,2 სმ, ძირის დმ — 7 სმ.

დაცულობა: ძლიერ დაზიანებულია.

ნაპოვნია ხახმატში. მუზეუმში შემოსულია 1967 წ.

XVIII საუკ.

შდრ. გ. კიკნაძე, ქართული წარწერიანი ჭურჭელი, XXVIII—B ტაბ. I.

სპილენძის თევზი პირგადაშლილი, ღრმა, ვიწრო პორიზონტალური პირით, ძირი ბრტყელი აქვს. ძირზე აღნიშნულია სიმძიმის ცენტრი, რომლის ირგვლივ კონცენტრული წრეებია. თევზი სრულიად სადაა. გარე პირზე მხედრული წარწერაა: „ქ. ბატონიშვილი: თეკლა“.

ზომა: პირის დმ — 22,5 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

მუზეუმში შემოსულობის თარიღი 1958 წ. აღმოჩენის ვითარება უცნობია.

XVIII საუკ. II ნახევარი.

36. (ინვ. № 157—64:5, მიმდ. შემოს. ფონდი).

სპილენძის ჭურჭელი, ჩაიდნისებურ ჭურჭელს სფერული ტანი აქვს, რომლის გვერდები შეუმჩნევლად გადადის ბრტყელ ძირში. მრგვალი პირი ტანთან ვიწრო ყელითაა დაკავშირებული. პირზე ორი ნახვრეტია დარჩენილი, სახელური თუ იყო შიგ გაყრილი (?). ჭურჭელს გრძელი, ჩაიდნისებური დახრილი გრძელი ტუჩი აქვს.

ზომა: ჭურჭლის სიმაღლე — 17 სმ, ტუჩის სიგრძე — 15,5 სმ.

დაცულობა: ძლიერ დაზიანებულია.

ნაპოვნია სოფ. ტბისში, მიწის სამუშაოების დროს. 1964 წ.

XVIII საუკ. I ნახევარი.

მდრ. ი. გრძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, „თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები“, თბ., 1961, ტაბ. 23. 29.

37. (ინვ. № 157—64:4, მიმდ. შემოს. ფონდი).

სპილენძის თევზი, ღრმა, აქვს ვიწრო პორიზონტალურად გადმოკეცილი პირი. მრგვალი გვერდები შეუმჩნევლად გადადის



ბრტყელ ძირში. თეფშის ცენტრში სიმძიმის წერტილიც აღნიშნული, რომლის ირგვლივ კონცენტრული წრეებია. თეფშის გარე პირს ჰედვის კვალი ეტყობა, შიდაპირი კი ჩარჩხეა დამუშავებული. თეფში მოკალუელი ყოფილა.

ქურტელი სრულიად სადაა. გარე პირზე მხედრული ერთსტრიქონიანი წარწერაა: „ქ. ჭაიხოსრვს ქალის დარეჯასია“.

ზომა: პირს დმ — 20 სმ.
 დაცულობა: კარგად არის შენახული.
 ნაპოვნია სოფ. ტბისში, 1964 წ.
 XVIII საუკ.

38. (ინვ. № 53—66:83).

სპილენძის თასი ღრმა, მაღალი მომრგვალებული გვერდით, პირშეკრული, მაღალი ქუსლით. თასს გარედან სამი ხაზი დაყვება.

ზომა: პირის დმ — 13 სმ.
 დაცულობა: თასი მთელია.
 ნაპოვნია სოფ. ნოსტეში.
 XVIII საუკ. I ნახევარი.

მღრ. გ. კიენაძე, XVII—XVIII სს. ქურტელი, სსმმ XXVIII—B—8 ტაბ. II.

39. (ინვ. № 53—66:82).

სპილენძის თასი, დაბალი მომრგვალებული გვერდით, ბრტყელი ძირით, ცენტრში, შიდა მხრიდან კოპისმაგვარი ბურთულა აზის.

ზომა: პირის დმ — 18 სმ.
 დაცულობა: თასი დაზიანებულია.
 ნაპოვნია სოფ. ნოსტეში.
 XVIII საუკ.

40. ((ივ. № 1557).

რკინის ქრაქი ნიჟარის ფორმის, ბრტყელი ძირით, აკეცილი გვერდებით, აქვს ზეთის გადმოსასხმელი ტუჩი. იგი ოდნავ ზემოთაა აწეული. ქრაქს აქვს საკმაოდ მაღალი, ვერტიკალური სახელური, რომელზედაც საკიდი კაუჭია გაკეთებული.

ზ ო მ ა: სახელურის სიგრძე — 13 სმ.

დაცულობა: კარგად არის დაცული.

ნაპოვნია ს. პატარძელში (საგარეჯოს რ-ნი).

XVIII ს.

41. (ფ. „ნა“ 2284).

სპილენძის სურა, აქვს მაღალი, წაკვეთილი კონუსის ფორმის ყელი, რომელიც ნელ-ნელა ფართოვდება და გადადის მრგვალ მუცელში. ძირი ოდნავ გამოყვანილი, ქუსლი დაბალი.

ჭურჭლის ტანსა და ყელზე ამოკვეთილია ოთხ-ოთხი პარალელური ხაზი. მათ შორის ტოლი მანძილია დაცული.

ზ ო მ ა: ყელის სიმაღლე — 12 სმ, ჭურჭლის სიმაღლე — 31 სმ, ძირის დმ — 13 სმ.

დაცულობა: ჭურჭელს აკლია ყური.

ნაპოვნია სოფ. საცხენისში მიწის სამუშაოების დროს.

42. (ნივ. №ა. 2288).

სპილენძის სურა, მაღალი, აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმის ყელი. ყელი ფართოვდება და გადადის დაბალ, მრგვალ მუცელში, ბრტყელი ძირით. ყელი საკმაოდ მაღალია და ჭურჭელს ქმნის არაპროპორციულს. ჭურჭლის ტანსა და ყელს დაყვება სამ-სამი პარალელური ხაზი, რომელთა შორის ტოლი მანძილებია დატოვებული. ჭურჭელი სამ პატარა ფეხზე დგას.

ზ ო მ ა: ყელის სიმაღლე — 17 სმ, ჭურჭლის სიმაღლე — 40 სმ.

დაცულობა: ქუჩველი მთელი.
ნაპოვნია სოფ. საცხენისში მიწის სამუშაოების დროს.



2. ირანული ზურბილი

43. (ინვ. № 38—65:1, მიმდ. შემოს. ფონდი).

სპილენძის სასანთლე, სასანთლეს წაკვეთილი კონუსის ფორმა აქვს. მისი ზედა ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებულია, რომლის ცენტრში გადაკვეთილი კოპი ზის, მასზე მირჩილული ყოფილა სანთლის ჩასადები ბუდე. სასანთლის ტანს ორი რელიეფური ზოლი დაუყვება. ზედაპირი მთლიანად დაფარულია ორნამენტით. გამოყენებულია ექვსი სხვადასხვა მოტივი.

სასანთლის ზედა ნაწილი სამ სარტყლადაა დაყოფილი. ერთი სარტყელი თვით კოპს ევლება — ეს არის ტეხილი ხაზებით შექმნილი ტოლფერდა სამკუთხედების მწკრივი. მომდევნო სარტყელი პარალელური ხაზებით ცხრამეტ სექტორადაა დაყოფილი, რომელთა შორის მოგრძო ფოთლები თავშექცევითაა ჩასმული. მესამე სარტყელზე, რომელიც შედარებით ვიწრო ზოლს წარმოადგენს, მცენარეული ტოტის დინებაა მოცემული.

სასანთლის ტანის ზედაპირი სამი არათანაბარი ზომის სარტყლისაგან შედგება. ზედა სარტყელში, რომელიც ყველაზე ვიწროა, მოცემულია გრეხილი თოკის ორნამენტი, შუა სარტყელი განიერია, მასში ექვსი წრეხაზია (მედალიონი) ამოკვეთილი (თვითეთლის დმ — 5 სმ). წრეში ჩასმულია შვიდი ექვსფურცელა ყვავილი. დიდ წრეხაზებს შორის პატარა წრეებია ჩასმული, რომელთა ცენტრში ჯვარი თუ ჯვრის ტიპის ტოლმკლავა ყვავილია გამოსახული. მესამე სარტყელში მცენარეული მოტივია ამოჭრილი. ორნამენტი ამოკვეთითაა შესრულებული, გამოყენებულია პუნსონი. დამზადებულია ჩამოსხმის წესით, შიდა პირს ჩარბით დამუშავების კვალი ეტყობა.

ზომა: სიმაღლე — 10 სმ. პირის დმ — 16 სმ.

დაცულობა: სასანთლეს ნაპირი აქვს ჩამოტეხილი.

ნაპოვნია სოფ. ბანაში (ქარელის რ-ნი).

XIV—XV სს.

შდრ. A. Pope, A. Survey... VI. 1348 Mayer, Islamic Metallworkers, ტაბ. IX.

აპილენძის სასანთლე წაყვეთილი კონუსის ფორმის, მისი ზედა ნაწილი ოდნავ ჩაღრმავებულია. ნაპირს კი წიბო დაჰყვება. სასანთლის ჩასადები ბუდე მომტვრეულა და ზედ ახალი ფირფიტაა დამოქლონებული. სასანთლის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ორნამენტით. ორი რელიეფური ვიწრო ზოლი, რომელზედაც წიწვოვანი ორნამენტია ამოკვეთილი. ჭურჭლის ზედაპირს სამ სარტყლად ჰყოფს. ზედა და ქვედა სარტყელში რომბები და პატარა წრეხაზებია, რომელთა ცენტრში სტილიზებული ყვავილები ზის, შუა ფართო სარტყელში სხვადასხვა ზომის მედალიონებია ჩასმული. შედარებით მცირე დიამეტრის მქონე მედალიონებში ყალყზე მდგარ ცხენზე მეომარია ამხედრებული, რომელიც ხმალს იჭნევს; მეომარს გრძელი წვერი, ჩაჩისმაგვარი ქუდი ხურავს. დიდ მედალიონებში კი (არაბული?) წარწერაა მოთავსებული, რომლის ფონი წვრილი ყვავილოვანი ორნამენტითაა დაფარული.

სასანთლისათვის მოგვიანო ხანაში მეორადი მნიშვნელობა მიუციათ. კერძოდ, იგი სათლის ტიპის ჭურჭლად გადაუკეთებიათ. მისთვის ორი ყური და სამი პატარა ფეხი დაუმოქლონებიათ. ყვავილის ფორმის ერთი ყურიღა აქვს შერჩენილი.

ჭურჭელი რომ გადაკეთებულა, ამას მედალიონებში ჩასმული ორნამენტი და თვით ფორმაც მოწმობს. იგი ანალოგიურია შუა საუკუნეების ირანში გავრცელებული სასანთლეებისა.

ჭურჭელი სქელკედლიანია. იგი ჭედვითაა მიღებული.

დაცულობა: ჭურჭელს აკლია ყური, რესტავრირებულია. XIV—XV სს.

აღმოჩენის ადგილი უცნობია!

ზომა: ჭიმადლე — 16 სმ. პირის დმ. — 20 სმ.

შღრ. Pope, A Survey... VI, ტაბ. 1259.

45. (ინგ. № 60—67:3).

სპილენძის თასი, ღრმა, პირშეკრული ჭურჭელია, მუცელი პირთან შედარებით ოდნავ განიერი აქვს, რომელიც შეუმჩნევ-

¹ კატალოგში შეტანილი ყველა ირანული ჭურჭლის აღმოჩენის ვითარება უცნობია.



ლად გადადის ბრტყელ ძირში. კურკლის კედლები ძირთან შედარებით სქელგვერდიანია.

კურკელი ორივე მხრიდან ორნამენტირებულია. პირიდან დაფარულია 6 კონცენტრული წრეხაზით. ორ, შედარებით პატარა წრეხაზებში ჩასმულია რვაფურცლა მოგრძო ყვავილი, წრეხაზს ტეხილი ხაზი აქვს შემოვლებული. მეორე წყებას კონცენტრული წრეებისას, რომელიც ცენტრიდან 17 სმ-ითაა დაშორებული, შემოვლებული აქვს ტეხილი ხაზები. თავისუფალ არეზე თევზის გამოსახულებებია მოთავსებული. დანარჩენი ორა წრეხაზი თოქისებური გრეხილი ორნამენტითაა გადმოცემული.

კურკლის გარე პირს დაყვება წარწერის იმიტაცია. მუცელი ფართო წიწვოვანი ორნამენტითაა დაფარული, რომელიც კანელურებს მოგვაგონებს. ძირზე ოთხი კონცენტრული წრეა, რომლის ცენტრში იგივე რვაფურცლა მოგრძო ყვავილია ჩასმული.

ზო მ ა : სიმაღლე — 6 სმ, პირის დმ — 14 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა : ნაპირი აქვს ჩამოტეხილი.

XIV ს.

შდრ. А. А. Иванов, Бронзовый тазик середины XIV в. Средняя Азия и Иран, Л, 1972 გვ. 116, სურ. 2.

46 (იხვ. „ა“ 18—41:395 გ).

სპილენძის კურკელი. კურკელს აქვს ოდნავ გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, დაბალი მრგვალი მუცელი, რომელიც შეუმჩნეველად გადადის ბრტყელ ძირში. ყელი კურკლის ქვიშა ნაწილზე მაღალია. კურკელი საყვავილე ქოთანს მოგვაგონებს.

კურკლის გარე ზედაპირი ორნამენტირებულია. ამოკვეთილი ხაზებით კურკლის ზედაპირი იყოფა ხუთ სართულად. ამათგან სამში, შედარებით ვიწრო სართულებში, რომების გამოსახულებებია, ყელზე, ერთ-ერთ სართულში, სპარსული წარწერაა მოთავსებული, რომლის ფონი წვრილი ბადიანაა დაფარული. სულ ქვედა სართულზე, კურკლის მუცელზე ნახევარარაბესკებია ამოკვეთილი.

ზო მ ა : პირის დმ — 5,5 სმ, სიმაღლე — 7,5 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა : კურკელი მთელია.

XVII საუკ.

შდრ. სახელმწიფო ერმიტაჟი — აღმოსავლეთის განყოფილების ლითონის ფონდის მასალები VC—21, VC—13. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდი „გ. 73—38:138“, „გ. 86—42—482“.

სპილენძის კურქელი ფართო, ოდნავ გადაშლილი პირით, ყელი გამოყვანილი, რომელიც თანდათან გადადის მრგვალ მუცელში, ძირი ბრტყელი. კურქელი საყვავილედ ქოთანს მოგვსავსებს.

პირზე ორი ამოღარული ხაზი დაყვება. რელიეფური ზოლებით კურქლის ზედაპირი რამდენიმე სარტყლად იყოფა. ყელის ფართო სარტყელში სპარსული წარწერაა, რომლის ფონი ცალმხრივი წვრილი ბადითაა დაფარული. მომდევნო ვიწრო სარტყელში გეომეტრიული ორნამენტია გრაფირებული. შემდეგ მცენარეული ორნამენტია: ტოტი კავებითა და ცალმხრივ ხუთფურცლა ყვავილებით. ბოლო სარტყელი არაბესკეებითაა დაფარული. მოკალთული ყოფილა.

ზო მ ა: პირის დმ — 14 სმ, სიმაღლე — 10 სმ.

და ც უ ლ ო ბ ა: კარგად არის შენახული.

XVII საუკ.

შდრ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის ფონდის მასალები „გ. 18—41:395“, „88—42:482“. სახელმწიფო ერმიტაჟი — აღმოსავლეთის განყოფილების ლითონის ფონდის მასალები VC—21, VC—13.

48. (იხვ. № 82—42:482 გ).

სპილენძის კურქელი, საყვავილეს ტიპის, გადაშლილი პირით, გამოყვანილი მაღალი ყელით, განიერი ელიფსის ფორმის მუცლით (მუცელი ყელთან შედარებით დაბალი აქვს). ძირი — ბრტყელი.

კურქლის ზედაპირის შესამკობად ნაირფერი ორნამენტია გამოყენებული. პირს დაყვება მცენარის გაშლილი ტოტის დინება ხვეულაკებით. მომდევნო, შედარებით ფართო სარტყელში მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტია გამოყენებული — წრეხაზები, რომლები და ყვავილოვანი ორნამენტი ერთმანეთს რიგობით ცვლის; მესამე სარტყელი წვრილი რომბებითაა დაფარული, ხოლო ბოლო სარტყელში, მუცელზე, ნახევარწრიების გადაბმა თალისებურ ორნამენტს ქმნის.

კურქლის ძირზე მხედრული წარწერაა მოთავსებული. წარწერა მოგვიანო ხანაში უნდა იყოს გაკეთებული. წარწერიკ შინაარსია: „ქ: მყოლაშვილი ესტატესი“.

ზომა: პირის დმ — 20 სმ, სიმაღლე — 14 სმ.

დაცულობა: ჭურჭელი მთელია.

შდრ. კატალოგის ჭურჭლებს № 50,51.



49. (ინვ. № 2—37:2 გ).

სპილენძის ლანგარი. ლანგარს ფართო დახრილი ბაკო აქვს. ოდნავ ჩაღრმავებული, ბრტყელი ძირი. ძირზე, შიდა მხრიდან რამდენიმე კონცენტრული წრეხაზია შემოვლებული. ლანგარის ბაკო დაფარულია ორნამენტით. სტილიზებულ მცენარეულ ტოტებს შორის ექვსი მედალიონია მოთავსებული, რომლის არც წნული ორნამენტით და წვრილი ბადითაა დაფარული. გარედან ლანგარი სადაა.

ლანგარი ერთი ფურცლისაგანაა ნაქედი. ჭურჭელს ეტყობა იარაღის დარტყმის კვალი. გარე პირზე, ცენტრში, თითქოს დამლა დასმული. ლანგარის ბაკოზე გარედან სომხური წარწერაა მოთავსებული.

ზომა: პირის დმ — 25 სმ, ძირის დმ — 13 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

XVII—XVIII სს.

50. (ინვ. № 94—38:174 გ).

სპილენძის თასი შეკრული პირით, ოდნავ გამოყვანილი ყელით, რომელიც მრგვალ გვერდში გადადის, ძირი — ბრტყელი.

ჭურჭელი ორნამენტირებულია. ყელზე ფართო ზოლად დაყვება არაბული წარწერის იმიტაცია. წარწერებს შორის პატარა წრეებია შუაში ხუთფურცელა გვირგვინის ტიპის ყვავილებით, მუცელზე კი ნახევარარაბესკებია გრაფირებული.

თასი ნაქედია სპილენძის ერთი ფურცლისაგან. კალა გადაკლილი აქვს.

ზომა: პირის დმ — 17 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

XVIII საუკ. I ნახევარი.

შდრ. სახელმწიფო ერმიტაჟი — აღმოსავლეთის განყოფილების ლითონის ფონდის მასალები VC—28, VC—800.

51. (იხვ. № „ა“ 544).

სპილენძის თეფში, ღრმა, გადაშლილი, ოდნავ დაქანებული ფართო ბაკო აქვს, ძირი ბრტყელი. ჭურჭელი ლანგრის ტიპისაა.

ჭურჭელი ორნამენტირებულია. ძირზე, ცენტრში, კონცენტრულ წრეში და მის გარშემო წვრილი ყვავილოვანი ორნამენტია ამოკვეთილი, ხოლო ბაკოზე მცენარეული გრებილი ღერო — „ისლიმი“.

თეფშის შიდაპირზე სომხური წარწერაა მოთავსებული.

ზომა: პირის დმ — 30 სმ.

დაცულობა: კარგად არის შენახული.

ნაპოვნია ძველი ჯულფის ნანგრევებში, აღმოჩენის წელი უცნობია.

XVIII—XIX სს.

52. (იხვ. № 545).

სპილენძის თასი შეკრული პირით, მრგვალი მუცლით, ძირი ბრტყელი.

ჭურჭელი სადაა, მხოლოდ გარედან პირს დაყვება მცენარეული ორნამენტის ვიწრო ზოლი — ტალღოვან ხაზებს შორის სამყურა ყვავილია ამოკვეთილი. ორნამენტის ფონი ცალმხრივი ბადითაა დაფარული. ჭურჭლის შიდა ძირზე, ცენტრში, მედალიონში, ყვავილოვანი ორნამენტია ამოკვეთილი.

ჭურჭლის გვერდები სქელი ფურცლისაგანაა დამზადებული, ძირი შედარებით თხელფურცლოვანია.

ჭურჭელი მოკალღული ყოფილა, კალა ზოგ ადგილას აქვს შერჩენილი. ჭურჭელი ნაქედია.

ზომა: სიმაღლე — 12,5 სმ.

დაცულობა: თასს გვერდი ჩამოტეხილი აქვს.

XVIII საუკ.

53. (ინვ. № 100—38:180 გ).



სპილენძის თასი, დაბალი პირგადაშლილი, ვიწრო ბაკოთი, გვერდები შეუმჩნეველად გადადის ბრტყელ ძირში.

თასი გარედან ორნამენტირებულია ტეხილი და ურთიერთგადამკვეთი ხაზებით. შიდა პირზე ყვავილოვანი ორნამენტი ამოკაწრული. თასი მოკალუღია, იგი ქედვითაა მიღებული.

ზომა: პირს დმ — 13 სმ, სიმაღლე — 4 სმ.

დაცულობა: თასი მთელია.

